



საქართველო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL



N 100
11/01/2019

ზუგდიდი

100-02-4-201901111653



მერის ბრძანება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 04 იანვრის N43 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85³ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85⁴ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 04 იანვრის N43 ბრძანებაში:

ა). ბრძანების პირველი მუხლი და დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

”საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები და კრებები დანართი №1 შესაბამისად”.

ბ). ბრძანების მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

”მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახურისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე,

09-დან 18-საათამდე, საპროექტო წინადადებების მიღება დასრულდეს ადმინისტრაციულ ერთეულში კრების ჩატარებამდე 1 (ერთი) დღით ადრე”.

გ). ბრძანების მექვსე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

”სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილი პირებად განისაზღვრონ:

- რუსლან კილასონია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახურის უფროსი. მობილურის ნომ: 595220333, ელ.ფოსტა: Rukilasonia@mail.ru.
- მამუკა ლოგუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე. მობილურის ნომ:59144-53-63, ელ.ფოსტა: loguamamuka2@gmail.com.
- ირაკლი ფიფია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე. მობილურის ნომ:59144-53-69, ელ.ფოსტა: irakli0478@gmail.com.
- გოგა ჭანტურია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახურის ინფრასტრუქტურული პროგრამების მართვის განყოფილების უფროსი. მობილურის ნომ: 595096801, ელ.ფოსტა: goga.chanturia.90@mail.ru.
- მაკა გერანტია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახურის ინფრასტრუქტურული პროგრამების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი. მობილურის ნომ: 595096802, ელ.ფოსტა: Makagerantia1@gmail.com”.

2. ბრძანების დანარჩენი ნაწილი დარჩეს უცვლელი.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. ზუგდიდი, რ. ლადიმის ქ. N12).

მაიზერ ნანავა



მერის მოვალეობის შემსრულებელი